



**ევროპულმა სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის პატიმრობა პოლიტიკურად იყო თუ არა მოტივირებული გამოქვეყნდა 2017 წლის 21 ნოემბერს.**



ივანე მერაბიშვილი წინასწარი მოსმენის სასამართლოზე (როიტერის ფოტო).

28 ნოემბერს ადამიანთა უფლებების ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილის პასუხისგებაში მიცემა და სასამართლომდე პატიმრობაში აყვანა იყო თუ არა პოლიტიკურად მოტივირებული. სასამართლომ უნდა დაადგინოს ის კანონიერად იყო თუ

არა დაკავებული და გამოყენებული იქნა თუ არა მეთოდები მასზე ზეწოლის მოსახდენად. მერაბიშვილს წარმოადგენს ადამიანთა უფლებების ევროპული საადვოკატო ცენტრი ([EHRAC - მიდლსექსის უნივერსიტეტი](#), ლონდონი) და ოთარ კახიძე (საქართველო).

**რატომ არის ეს მნიშვნელოვანი**

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად “ქართული ოცნების” ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ყოფილი ხელისუფლების (“ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”) თითქმის მთელი მმართველი გუნდი დაპატიმრებული ან/და პასუხისგებაში მიცემული იქნა სხვადასხვა ტიპის ბრალდებათა წაყენებით. საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და [ქალაქ თბილისის ყოფილი მერი გიორგი უგულავაც](#) ამ სიაში მოხვდნენ. ევროპული სასამართლო ძალიან იშვიათად იღებს გადაწყვეტილებას, რასაც პოლიტიკური მოტივაცია უდევს საფუძვლად. ამ საქმეზე გამოტანილი თავდაპირველი გადაწყვეტილება უპრეცედენტო იყო საქართველოს წინააღმდეგ. საქართველოს მთავრობამ ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა. თუ დიდი პალატა, რომელიც ევროპული სასამართლოს უმაღლესი ორგანოა, გამოიტანს გადაწყვეტილებას რომ ბატონი მერაბიშვილის დაკავება პოლიტიკურად იყო მოტივირებული, ეს საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებისათვის მნიშვნელოვანი სიგნალის გაგზავნა იქნება, რადგან ამ ქვეყნებში ოპოზიციონერ აქტივისტებს და პოლიტიკოსებს რეგულარულად აპატიმრებენ და პასუხისგებაში აძლევენ ფალსიფიცირებული ბრალდებების საფუძველზე, რაც დემოკრატიული განვითარებისთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს.

**რა მოხდა**

ბატონი მერაბიშვილი დაპატიმრებული და პასუხისგებაში მიცემული იქნა 2013 წლის მაისში. 2013 წლის დეკემბერში ღამის საათებში ის გაიყვანეს თბილისის ციხის საკნიდან, თავზე რაღაც მოახვიეს რომ არ დაენახა სად მიყავდათ და მანქანით გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. ადგილზე მისვლისას ის დაკითხული იქნა საქართველოს მთავარი პროკურორისა და საქართველოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის მიერ. მათ ბატონ მერაბიშვილს



შესთავაზეს შემდეგი გარიგება: მას უნდა მიეცა ინფორმაცია საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მ. სააკაშვილის შესახებ, ასევე ითხოვდნენ ინფორმაციას თუ როგორ დაილუპა საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია. ამ ინფორმაციის სანაცვლოდ ისინი პირდებოდნენ ბატონ მერაბიშვილს გათავისუფლებას და აძლევდნენ გარანტიას, რომ შესაძლებლობა მიეცემოდა თავის ოჯახთან ერთად ქვეყანა დაეტოვებინა. მან ამ გარიგებაზე უარი განაცხადა. მას დაემუქრნენ რომ მისი პატიმრობის პირობები დაუარესდებოდა. ამის შემდეგ მოკლე ხანში ის პასუხისგებაში მიეცა და მიესაჯა ხუთი წლით პატიმრობა.

*“დიდი პალატის განაჩენი დაადგენს რომ პოლიტიკური ნიშნით პასუხისგებაში მიცემა შეუწყნარებელია დემოკრატიული სახელმწიფოსათვის და არღვევს ადამიანთა უფლებების საერთაშორისო სტანდარტებს. სასამართლოს გადაწყვეტილებას შედეგები მოჰყვება მთელი ევროპის სხვა ქვეყნებში, აზერბაიჯანისა და რუსეთის ჩათვლით, სადაც კრიტიკულად განწყობილი გავლენიანი პირების დაკავებასა და პასუხისგებაში მიცემას პოლიტიკური მოტივაცია უდევს საფუძვლად”.*

*პროფესორი ფილიპ ლიჩი,  
ადამიანთა უფლებების ევროპული საადვოკატო ცენტრის დირექტორი*



ეს არის [ევროპული სასამართლოს](#) მეორე დადგენილება ამ საქმის შესახებ. ბატონმა მერაბიშვილმა პირველი მოსმენისას საქმე მოიგო. საწყისი [პრეცედენტული გადაწყვეტილებისა](#) და [მისი გავლენის](#) შესახებ შეგიძლიათ წაიკითხოთ ჩვენი ადრეული ინფორმაცია ამ საქმის შესახებ.

როგორ გამართლა საქართველოს ხელისუფლებამ თავისი ქმედებები? ნახეთ

ადამიანთა უფლებების ევროპული საადვოკატო ცენტრის ადვოკატები ფილიპ ლიჩი და ჯოან სოიერი დიდი პალატის სხდომაზე, 2017 წლის მარტი.

[ევროპული სასამართლოს დიდი პალატის სხდომა \(2017 წლის მარტი\)](#) და [წაიკითხეთ მათი არგუმენტები](#).

დამატებითი ინფორმაციისათვის ნახეთ ასევე “საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის” მიერ გამოქვეყნებული ანგარიში სათაურით [“პოლიტიკურად მიკერძოებული მართლმსაჯულება საქართველოში”](#), სადაც წარმოდგენილია ბატონი მერაბიშვილის საქმის დეტალური ანალიზი.